ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ**01.011901119**

თარიღი:**11/01/2019**

„ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის I ქუჩა N13-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.16.04.054.002) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 22 აგვისტოს N1-1910 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის 2019 წლის 10 იანვრის N67-01190102904 წერილით წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის I ქუჩა N13-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.16.04.054.002) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 22 აგვისტოს N1-1910 ბრძანების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის I ქუჩა N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.04.054.002) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ-2=1.9“

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს მაია ბითაძეს.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**67-01190102904**
თარიღი: **10/01/2019**

ადრესატი:

კახა კალაძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

ზოგადი ინფორმაცია	
დასკვნა: დადებითი	
განცხადების ნომერი	N01183403820-67; N01183593435-67
განცხადების თარიღი	07.12.2018წ. 25.12.2018წ.
ნომენკლატურა	ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური / სპეციალური (ზონალური) შეთანხმება / სპეციალური (ზონალური) შეთანხმების თაობაზე მერის ბრძანებაში ცვლილება
მისამართი	ქალაქი თბილისი, ქუჩა I ასპინძა, N 13
საკადასტრო კოდ(ებ)ი	№01.16.04.054.002 (არასასოფლო-სამეურნეო)
ფართობ(ებ)ი	2858.00 კვ.მ. (ვალდებულების ფართობი 48 კვ.მ.)
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	ლაშა ჩიხრაძე
არსებული ფუნქციური ზონა(ები)	*ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 04 სექტემბრის №3487330 ბრძანების საფუძველზე საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება შესაძლებელი გახდა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ–3)–ის პარამეტრებით და პირობებით.* მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1=0.5 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2=1.5 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური

	კოეფიციენტი კ-3=0.3
მოთხოვნილი პარამატრები *(არსებობის შემთხვევაში)*	მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ–1=1.9
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
განმცხადებლის მოთხოვნა	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 22 აგვისტოს N1-1910 ბრძანებაში ცვლილების განხორციელება მიწის ნაკვეთის ფართობის ცვლილების გამო.

საკითხის აღწერა

2018 წლის 07 დეკემბერის N01182843439-67 (დამატებით N01183593435-67 (25.12.18.)) განცხადებით დაინტერესებულმა პირმა მოითხოვა ქ. თბილისში, ქუჩა I ასპინძა, N 13–შ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.04.054.002 (ფართობი 2173 კვ.მ.)) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად ქალაქგეგმარებითი პარამეტრების მომატების მიზნით გაცემულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 22 აგვისტოს N1-1910 ბრძანებაში ცვლილების განხორციელება ნაკვეთის ფართობის გაზრდის გამო ახალი საკადასტრო მონაცემების დაფიქსირების მიზნით.

საპროექტო მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.16.04.054.002), დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს ზოგად საცხოვრებელ ზონაში, მასზე ვრცელდება ტერიტორიულ–სტრუქტურული ზონა დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი – პერიფერიული ზონა.

2017 წლის 09 სექტემბერს №3487330 ბრძანებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები NN01.16.04.054.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2173 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთისთვის, ფუნქციით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. №3681435 (15.11.17.) ბრძანებით შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და № 3698070 (24.11.17.) ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით ძალაშია.

ამ ეტაპზე საპროექტო ტერიტორიის ფართობი გაიზარდა ნაკვეთის საკადასტრო კოდის უცვლელად, ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 22 აგვისტოს 1-1910 ბრძანებით მიწის ნაკვეთისთვის მინიჭებულია განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ–2=2.0, საპროექტო არეალის ფართობის გაზრდის გამო დაინტერესებულმა პირმა განახორციელა მინიჭებული ინტენსივობის კოეფიციენტის გადანაწილება მთელ საპროექტო არეალზე, რის შედეგადაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის მაჩვენებელი გახდა კ–2=1.9.

საკითხი განიხილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 22 აგვისტოს 1-1910 ბრძანებაში ცვლილების განსახორციელებლად, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ახალი მაჩვენებლის დაფიქსირების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის კუთხით.

დასკვნა

საპროექტო ტერიტორიაზე მომატებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ფარგლებში უკვე შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა, ამასთან ობიექტი მშენებარეა. ვინაიდან მიერთებული ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ–2) დაანგარიშება განხორციელდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი კოეფიციენტით, მთელი საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების

ინტენსივობის კოეფიციენტის მაჩვენებელი გახდა კ–2=1.9. ვინაიდან, ფართობის გაზრდის შედეგად გახდა შესაძლებელი მოთხოვნილი ფუნქციის შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 22 აგვისტოს N1-1910 ბრძანებაში ცვლილების განხორციელების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა, ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ–2=1.9 მაჩვენებლის დაფიქსირებით.	
სამართალურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი ნორმატიული აქტები:	
სამართალურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი ნორმატიული აქტები:	1.„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილება; 2.„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილება; 3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების დასკვნის საფუძველზე. საპროექტო ტერიტორიაზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ინტერაქტიული რუკის თანახმად ვრცელდება ფუნქციური ზონა - ზოგადი საცხოვრებელი ზონა, ხოლო ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა - პერიფერიული ზონა. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა დაუშვებელია, გარდა ამ მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განაშენიანების რეგულირების პარამეტრებიდან შეცვლას ექვემდებარება სპეციალური (ზონალური)

სამართლებრივი დასკვნა:	შეთანხმებით – კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლები. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საგამონაკლისო წესს და მისი გაცემა დასაშვებია მხოლოდ ამ წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება დასაშვებია ერთჯერადად პზ-ში ნებისმიერი ფუნქციის, მათ შორის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ან/და საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისას. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა შესაძლებელია, თუ: ა) ცვლილებას მოითხოვს დედაქალაქის ტერიტორიების განვითარებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული (სოციალური, ეკონომიკური, ფორსმაჟორული და სხვა მსგავსი) მიზეზები; ბ) ცვლილება წონასწორდება ან კომპენსირდება იმგვარი ზომებით, რომელთა გატარება უზრუნველყოფს ჯანსაღი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების მოთხოვნების შელახვისა და გარემოზე არახელსაყრელი ზემოქმედების თავიდან აცილებას, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოთხოვნების დაკმაყოფილებას; გ) ცვლილებას არ დაუპირისპირდება სხვა საზოგადოებრივი ინტერესები. ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, „ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის I ქუჩა N13-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.16.04.054.002) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 22 აგვისტოს N1-1910 ბრძანებაში ცვლილების შეტანა N01183403820-67 (N01183593435-67) განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, დასაშვებია.

ალექსანდრე ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

საფინანსო საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **11-01190523398**
თარიღი: **21/02/2019**
პინი: **5677**

ადრესატი: შპს ბი ემ ჯი დეველოპმენტი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405135820
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ზ.ფალიაშვილის ქ., N 26, ბ. 2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური თქვენს 2019 წლის 20 თებერვლის N 10/01190511847-11 წერილთან დაკავშირებით, სადაც ითხოვთ სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშებას, გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 11 იანვრის N ბ01.011901119 ბრძანებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის 2019 წლის 21 თებერვლის N 67-01190522363 წერილის და დამატებით 2019 წლის 21 თებერვლის N 67-01190523125 წერილისა და მათზე თანდართული მონაცემების მიხედვით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N 17-49 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 11 იანვრის N ბ01.011901119 ბრძანებით გათვალისწინებულ ობიექტზე (საკადასტრო კოდი: N 01.16.04.054.002; ფართობი 2858,00 კვ. მ.), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 4 954,00 (ოთხი ათას ცხრაას ორმოცდათოთხმეტი) ლარს, სადაც:

ა) X არის მოსაკრებლის ოდენობა;

ბ) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისას არსებული 1 კვ. მ მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი L არის - 26 ლარი;

გ) მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მისანიჭებელი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი K_2^1 არის - 1,9;

დ) მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი K2 არის - 1,5;

ე) სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი S არის - 2 858 კვ. მ.

$X = L / K2 * ((K_2^1 – (K2+ K2-ის 20 \%)) * S$ 26 : 1,5 * ((1,9 – (1,5+0,3)) * 2 858 = 4 954,00 ლარი

გადახდის რეკვიზიტები:

· მიმღები: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსულობები;

· ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი: 300 77 3191 „მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის“;

· გადახდის დანიშნულება: ბრძანების ნომერი, საკადასტრო კოდი და დამატებითი ინფორმაცია.

ლევან მიქავა

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)
(მოვალეობის შემსრულებელი)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია MSDA-086 *405026877*

დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

თიბისი ბანკი
TBC BANK

სალაროს შემოსავლის ორდერი
CASH DEPOSIT ORDER

\# 1812191035 GEL

თარიღი 16/11/2017 Date

ასლი
Copy

შემომტანი Depositor	ლაშა ჩიხრაძე,01003067915	დებეტი Debit	1003
მიმღები ბანკი, კოდი	თბილისის იუსტიციის სახლის ს/ც, TBCBGE 22	კრედიტი Credit	GE39 TB70 0253 3030 1002 34
მიმღები Receiver	ქ.თბილისის მერია		
თანხა სიტყვიერად,ვალუტა Bank name, code Amount in words,currency	შვიდი ათას ხუთას ოცდაცამეტი ლარი 07 თეთრი	თანხა ციფრებით Amount in figures	7,533.07 GEL
შემოტანის დანიშნულება Description	ჯ2 მომატების გადასახადი		

16/11/2017 2:47:35 PM

მოლარე
Cashier

ბ.ა.

თეონა ადუაშვილი

კოდი CODE TBCBGE22
თიბისი ბანკი TBC BANK 17

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

თიბისი ბანკი
TBC BANK

სალაროს შემოსავლის ორდერი
CASH DEPOSIT ORDER

110913811

თარიღი 16/11/2017 Date

GEL

შემომტანი Depositor	ლაშა ჩიხრაძე, 01003007915
მიმღები ბანკი, კოდი Bank name, code	ს.ს. "თიბისი ბანკი", TBCBGE22
მიმღები Receiver	გადარიცხვების სატრანზიტო ანგარიში
თანხა სიტყვიერად, ვალუტა Amount in words, currency	ერთიათას ორას ორმოცდათხუთმეტი ქართული ლარი 60 თეთრი
შემოტანის დანიშნულება Description	TAS;AR1558331BP;თანხა:1254.60;საკ:1.00
საიდენტიფიკაციო ნომერი Tax code	
სახაზინო კოდი Treasury code	

დებეტი Debit	1003
კრედიტი Credit	GE38TB0000000450109777
თანხა ციფრებით Amount in figures	1,255.60 GEL

ასლი
Copy

კლიენტის ანგარიშებზე შეტანილი ან/და ჩარიცხული თანხ(ებ)ის ასახვას, კლიენტის ანგარიშიდან თანხ(ებ)ის გადარიცხვას ან კლ[illegible] ანგარიშსწორების წესით ბანკში შეტანილი თანხ(ებ)ის მიმღების ანგარიშზე ასახვას ბანკი უზრუნველყოფს არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა. ინფორმაცია [illegible] შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

თიბისი ბანკი
TBC BANK
კოდი
CODE
TBCBGE22
076017

მოლარე
Cashier

ბ.ა.

16/11/2017 14:49

72460

საგადახდო დავალება No 110264908

Transfer Order No 110264908

ვალუტირების თარიღი/Value Date: 12/02/2019 რეფერენსი/reference: 7582990862

იგრძენი მომავალი საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს ბი ემ ჯი დეველოპმენტი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE58BG0000000141563700GEL

თანხა/Amount
4 304.80 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
ოთხი ათას სამას ოთხი ლარი 80 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
ლაშა ჩიხრაძე

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
01003007915

მიმღების დასახელება/Recipient
ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773090

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
12/02/2019

გადახდის დანიშნულება/Description
გადახდა, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური, ნომერი AR1658088BP, გადახდის კოდი - 3061173752

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info
Information

შტამპი: "ს.ბ. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანლის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date:

საგადახდო დავალება No 110264908

Transfer Order No 110264908

ვალუტირების თარიღი/Value Date: 12/02/2019 რეფერენსი/reference: 7582990862

იგრძენი მომავალი საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს ბი ემ ჯი დეველოპმენტი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE58BG0000000141563700GEL

თანხა/Amount
4 304.80 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
ოთხი ათას სამას ოთხი ლარი 80 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
ლაშა ჩიხრაძე

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
01003007915

მიმღების დასახელება/Recipient
ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773090

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
12/02/2019

გადახდის დანიშნულება/Description
გადახდა, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური, ნომერი AR1658088BP, გადახდის კოდი - 3061173752

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info
Information

შტამპი: "ს.ბ. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანლის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date: